

რედაქცია

მოღონის (აბას-აბატის) მედანიზე, შორლანოვის სახლებში.

ხელის-მრწავრა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს ვარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типографіи. Въ редакціи газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გაგონდის კვირისგან, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართული, რუსული, სომხური და ფრანგული ენებზე.

განცხადების ფასი

ღიღი ა' თვეში: პირველი — 1 კაპ., მეორე-მესამე — 5 კაპ., სტრიქონზე — 8 კაპ., ტიფლისში, სტრიქონზე — 5 კაპ., პეტრიტი — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველო

საზოგადოება ჩვენთვის რძინ-ნოების გამსაღებლებისა

ჩვენ გვაქვს ამჟამად ხელში დამტკიცებული წესდება იმ საზოგადოებისა, რომელიც შარშან მაისს შემდგარა და რომელსაც ჰქვიათ სახელით: „ქვეყნიის ღვინოების მომხმარებელთა და ვაჭრობის საზოგადოება.“

ამ საზოგადოების მიზანი შემდგომის სიტყვებით არის წესდებაში აღნიშნული:

საზოგადოებას ჰქვიათ თავის წევრთა და სხვა მომხმარებელთა მიწოდება ადგილობრივი ღვინო იაფი ფასისა და კარგის თვისებისა (მუხ. 1).

ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოება წარმოადგენს ღვინოების, სარდაფების მფლობელებისა და ვაჭრობისა და განკარგვის მიხედვით ადგილობრივი ღვინოების გასასყიდლად, იკისრებს როგორც თავის წევრებისათვის აგრეთვე გარეშე მომხმარებელისათვის ისეთი ღვინოების დაბარებას, რომელიც საზოგადოების სარდაფებში არ იპოვება (მუხ. 2).

როდესაც საზოგადოებას ღონისძიება ექნება, თავის საშუალებით იყიდის უძრავ მამულებსა (ვენახებსა) და თავის ხარჯით გააკეთებს ღვინოებს...

შთაერესი საშუალება, რომლითაც საზოგადოებამ ამთავით მოქმედება უნდა დაიწყოს, შესდგება წევრების შემოტანის საწილო ფუ-

ლისაგან: ყოველმა წევრმა ასი მანეთი უნდა შეიტანოს (მუხ. 4).

აი, ეს არის უმთავრესი მუხლები ამ ახალი საზოგადოებისა, რომელიც ამჟამად იწყებთ თავის არსებობას და მოქმედებას ოფიციალურად.

შველაზედ პირველად უნდა ვთქვათ, რომ მიზანი საზოგადოებისა არის კეთილი და თანაგრძობის ღირსი.

იქას ჰქვიათ, გაუფხვრებლად, გაიფხვრა, ქვეყანას გააცნოს ჩვენებური ღვინოები, — ამაზე უკეთესი რაღა იქნება? მთელი ქვეყანა ამბობს, რომ კახური და საზოგადოთ ქვეყნიის ღვინო ბუნებით მშვენიერი ღვინო არის, მხოლოდ ქართველებმა მოვიტია, გაკეთება და შენახვა არ იციათ; და თუ ამის სწავლებას, თუ ჩვენი ღვინოების გასაღებასა და ქვეყნის გაცნობას იკისრებს შემოხსენებული საზოგადოება, უეჭველია, მადლობელი და კმაყოფილი უნდა ვიყვნეთ...

მაგრამ საქმე იმაშია — როგორ აპირებს საზოგადოება თავის მშვენიერი პროგრამისა და განზრახვის აღსრულებას?

ჯერ ეს უნდა ვთქვათ, რომ ყოველ ამგვარ საზოგადოებას მხოლოდ მაშინ აქვთ ქვეყნისთვის რაიმე მნიშვნელობა, როდესაც იმაში თვით მწარმოებელი ურევიათ. თუ ღვინის გამსაღებელ საზოგადოებაში ღვინის მწარმოებელი არ არის მონაწილე, ეს საზოგადოება ისეთივე შუამავალია — ვაჭარი ხდება, როგორც საზოგადოთ ყველა ვაჭრები არიან: საზოგადოებამ, თუ უნდა, რომ რამე

მოგება დარჩეს, უეჭველად იაფად უნდა იყიდოს ღვინო მწარმოებელისაგან და ძვირად გაჰყიდოს. შამისობა არ შეიძლება.

და იმ საზოგადოების წესდებაში, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ამ საგანზე ძალიან სუსტი ყურადღებაა მიქცეული: ერთნაირის სიადგილით იჭერს ის საქმეს, როგორც ღვინის ვაჭართან აგრეთვე მწარმოებელთან.

მაქცევთ აგრეთვე ყურადღება იმ გარემოებას, რომ საზოგადოების დამწესებლებში — თერთმეტ კაცში — მხოლოდ ორი ქართველი — მწარმოებელი ურევია — თ. რ. ანდრონიკაშვილი და თ. ბ. პრისთავი; დანარჩენი ცხრა კაცი: ბოკი, ბრევერი, ბიკოვი, ბერსევანოვი, ზეიდლიცი, ბასტაევი, შილაევი, პოლოხოვი და რერბერგი ან რუსები არიან და ან დემეტრე, რომელიც ქვეყნიის ღვინის წარმოებაში იმდენს მონაწილეობას იღებენ, რამდენსაც მე და მკითხველი ჩინეთის ბოლდინანის ტახტზე აყვანაში...

ამას გარდა, ყურადღების ღირსია აგრეთვე ის მუხლიც წესდებაში, რომლის ძალითაც არაფის არ შეუძლია საზოგადოების წევრად შეიქნეს, თუ ასი მანეთი საწილო ფული არ შეიტანა; საწილო ფულის გაყოფა არ შეიძლება.

მართა ამ მუხლიდამაც კარგათ ჩანს, რომ საზოგადოება მხოლოდ შემდგომელებისთვის არის დაწესებული და თავის პროგრამის შესრულებას იმდენად ეცდება, რამდენადაც ეს ამ შემდგომელებს — არა მწარმოებლებისთვის იქნება სასარგებლო.

ფელტონი

ბერლინის აღება

მოთრობა ალფონს დოდესი (ლასარული) „რამდენამდე დღემ ასე განვილო. ხანდისხან, როდესაც მოხუცებული ძალიან შეწუხდებოდა, რომ თვის შეილისაგან, რომელიც იმის ჰაზრით, ბერლინის კვლევებთან იყო დაბანაკებული, არაფერი ამბავი არ მოსდის, ჩვენ შევთხოვედით ვითომც იმისაგან მოსულ ბარათს და წაუკითხავდით. მოხუცებული მაშინ ხელხელად გაცოცხლდებოდა, დაგვეწყებოდა ახსნას, თუ როგორ უნდა აღიარებოდა ბერლინი, რამდენი ხანი მოუხდებოდა ამას და სხვ. მაგრამ ყველაზე უფრო კარგი სანახები მაშინ იყო, როდესაც თავის შეილთან წიგნს მგვავრებინებდა: „ნუ რასოდეს ნუ დაი-

ვიწყებ, რომ შენ ფრანკოში ხარო, ასე სწორდა თავის შეილა. სულგრძელი და შემბრალებელი იყავ, საწყალი დამარცხებული გერმანიელები გებრალებოდეს. ნუ აგრძობინებ, რომ ფრანკოში გამარჯვება იმის მტრისათვის ძნელი მოსათმენია.“

„ხანდისხან ომიანობის გათავებაზედ ჩამოგდებდა ლაპარაკს. რაც შეეხება მორიგების პირობებს, ერთობ სასტიკად დასჯას და ბევრ დაკავთვალეობას არ თხოულობდა: „რაც დაგვებარჯება ომში, მხოლოდ ის გადაგვინდა რაო! რა საჭიროა, რომ იმათი ქვეყნები დაეჭიროთ? მან შესაძლებელია, რომ გერმანიის ქვეყანა საფრანგეთის ნაწილად გადაქცეს?“

„ამ დროს ყოველის მხრიდან შიკარულს პარიჟს შავი დღე დაუდგა: შიმშილი, სიცოცხლე, ავთომყოფობა.

ხალხი თავგებასა და ვირთავებზე ნადირობდა, ცხენის ხორცისთვის, ერთი ნამცეცა გამხმარი პურისთვის თავს აკლავდნენ ერთმანეთს! რამდენი გაყინა ამ საშინელს ზამთარში! რამდენი ათასი ხალხი სხვა და სხვა ავთომყოფობისა და ჭირისაგან დაიხმაცა!

ჩვენი მოხუცებული ავთომყოფი კი ამას არაფერს არ ხედავდა. საიდამაც იყო, ჩვენ ძროხის ხორცს და პურს ვმოულობდით იმისთვის და ყოველ დღე ვაჭმედით. დამწებებულ მოხუცი ხშირად მოჰყვებოდა ძველებურ ლაშქრობის ამბავს. იმას ებრძოლა პირველ ნაპოლეონის ჯარში. ბერმანია ორჯერ დაეპყრო. მრთს საღამოს რუსეთის ლაშქრობა ავიწერა, იქაური სიცივეები, ნაპოლეონის დამარცხება, ავიწერა დაწველებით — რამდენი განსაცდელი, რამდენი შიმშილი გამოეცა მაშინ ჩვენ ჯარსა.

არა გვეგონია, რომ საზოგადოებამ მართლა ხელი მოუშარათოს, მართლა გაუადვილოს ღვინის ნამდვილ მწარმოებელს თავის ნაწარმოების გასაღება...

და თუ ეს ასე არ იქნება, მაშინ ამ საზოგადოებასა და უბრალო ვაჭარს შუა მხოლოდ ის განხელება დარჩება, რომ აქ ერთი პირი სარგებლობს მწარმოებელს შრომითა და იქ რამდენიმე ათი ისარგებლებს. ქვეყანას ამით არა შეეძინება რა...

ს. მესხი

ღლიური

შემდეგი წიგნი მივიღეთ ახალციხიდან:

„წასრული თებერვლის 21, ყველიერის პარასკევს, ქართული და რუსული სცენის მოყვარეთ წარმოდგინეს ახალციხეში ქართული და რუსული სპექტაკლი. ქართულათ „მზის დაბნელება“ და რუსულათ „Блю отъ пыжанаго сердца და Простушка и Воспитанная.“

სამივე პიესა ძრიელ რიგიანათ წარმოადგინეს. ხალხიც იმდენი იყო, რამდენიც კი ზალაში დაეტეოდა. საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა, ასე რომ ბევრს მათგანს, როგორც ისმის, პიესების გამეორებაც უთხოვნიათ.

„შული შემოვიდა ორას ოცდაოთხი მანეთი. ეს ფული სრულიად წავა, როგორც ამბობს, სცენის გამკეთებელი, თუმცა ჯერ ანგარიში არ შეუდგენია, დეკორაციების და სცენის გამართვაზე. დეკორაცია გაკეთ-

— წარმოადგინე, ჩემო პატარავ, რომ ჩვენ რუსეთში ცხენის ხორცს ვსჭამდით! არა, არა, შეგიძლია შენ, ჩემო ლამაზო, ამის წარმოდგენა!

„გონია, კი შეგიძლო: ორი თვის განმავლობაში ცხენის ხორცის მეტს არაფერს სჭამდა...“

„თან და თან ჩვენი მდგომარეობა უარესი შეიქნა: ავთომყოფი კარგათ ხელობდა და, დღეს თუ ხვალ, შეიძლებოდა როგორმე შეეტყო, რომ ჩვენ ნამდვილს საქის გარემოებას უმაღლედით.“

„იმ უბედური დღის წინად, როდესაც გამოცხადებული იყო, რომ ბერმანიის ჯარი უნდა შემოვიდნენ პარიჟში, მოხუცებულმა დაიყინა, რომ როგორც ვარ, ისე ამიღეთ და ფანჯარასთან მიმიყვანეთო, პარიჟს გადავადლო თვალთ.“

„საუბედუროდ, ტრ უმჯის პარკსთან იმ დროს ნაციონალური გვარ-

და რამოდენიმეჯერ საცვალი, ასე რომ სცენაც და დეკორაციაც სა- მუდამოდ ექმნებათ აქაურ სცენის მოყვარეთა.

□ „სასოფლო ბაზეთში“ სწორენ, რომ ამ უკანასკნელ წლებში მიზი- უში მიმშლიმა ისეთი გაჭირება აჩვენა ხალხსა, რომ კარ-და-კარ მოსიარულე იზიყელ მთხოვარა გლახებს ქალაქის ქუჩებში ხშირათ ეხედებოდნენ. შირ დროს ქიზიყელები თავ-მომწონე, მხნე და მარჯვე ხალხი იყო. მრე- კლე ნეფის თუ შ-ფ-ფ-ხევისურებთან ქიზიყელებიც გამოჩენილნი იყვნენ და ახლა კი ქალაქის ქუჩებში მოსი- არულე გლახები გამხდარანო...

□ შუთაისიდან გვწერენ, რომ იქაურს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებს შუა განხეთქილება თან-და-თან მატულობსო. სხვათა შორის, ამს წინათ სასწავლებლის ზედამხედველსა და ერთს მასწავლე- ბელს შუა რალაც უკმაყოფილება მომხდარა და ეს საქმე ჯერ იმერეთის ეპისკოპოსთან არის განსახილველად და მალე მანდაურ სამოსამათლო პალატაში გაიჩვენაო...

□ მუშადამ ამბავი მოგვივია, რომ წარსულს ყველიერში ერთს იქაურ მოქალაქეს, რომ ელსაც იმ დღეს ექვსი ათასი მანეთი მიეღო, ლა- მე დაიარაღებული მასკები და ხმოდ- ნენ თავს და დაეწყოთ ძალის დატ- ნება, რომ ფულები მიეცა. მოქალა- ქეს ყვირილი შეექნა, მებობლები მოცვივებულ იყვნენ, მასკები დაეჭირ- თ და აღმოჩენილიყო, რომ ესენი ვი- ლაც იქაური მოხელეები ყოფი- ლიყვნენ...

□ ჩვენი გორელი კორრესპონ- დენტი გვწერს, რომ დიდ-მარხვის ორ- შაბათიდან მოკიდებული პირველ დღის სალდათები იყვნენ გაჩერებუ- ლნი. პოლკოვნიკმა ერთს შეხედ- ეთ იგრძნო, რომ ისინი გამარჯვე- ბულ სალდათებს არ ჰგებდნენ. — მს რა ჯარია აქ? იკითხა. მე- რე ჩაღუნა თავი და კბილებში ჩი- ლაპარაკა: — მარჯვეთ არ უჭირავთ თავი! მამარჯვება ზედ არ ატყეით!.. „ამის მეტი არა უთქვამს რა, მაგრამ ესეც კმარა: ჩვენ შეგვე- შინდა — ვაი თუ ყველაფერი გე- გო და შემდეგ ფრთხილად ვიყავით. „მაგრამ ისეთს მდგომარეობაში იყო მაშინ პარიჟი, რომ სიფრთხილე ვერას უშველიდა.

„მეორე დღე, იმ უბედურს დღეს! მორიგების პირობის ძლით, გერმა- ნის ჯარის ერთი ნიწილი პარიჟში უნდა შემოსულიყო, იმის ნიშნად, რომ ეს უდიდესი ქალაქი აიღეს და დაიმორჩილეს. უნდა შემოსულიყ- ვნენ ტრიუმფის არკის კარებიდან, დღის სალდათები იყვნენ გაჩერებუ- ლნი. პოლკოვნიკმა ერთს შეხედ- ეთ იგრძნო, რომ ისინი გამარჯვე- ბულ სალდათებს არ ჰგებდნენ. — მს რა ჯარია აქ? იკითხა. მე- რე ჩაღუნა თავი და კბილებში ჩი- ლაპარაკა: — მარჯვეთ არ უჭირავთ თავი! მამარჯვება ზედ არ ატყეით!.. „ამის მეტი არა უთქვამს რა, მაგრამ ესეც კმარა: ჩვენ შეგვე- შინდა — ვაი თუ ყველაფერი გე- გო და შემდეგ ფრთხილად ვიყავით. „მაგრამ ისეთს მდგომარეობაში იყო მაშინ პარიჟი, რომ სიფრთხილე ვერას უშველიდა.

მარტამდინ განუწყვეტლივ თოვლდა მართლშიო. ნახევარ არშინამდინ დას- ღო მორში თოვლი და მთებზედ, რასაკვირველია, უფრო დიდი იქნება. რამდენი ხანა მარხილით სეირნე- ბა გორელებს არ უნახავთ, და ეხ- ლა იყარეს გულის ბუზარიაო.

□ მათე კორრესპონდენტი გვა- ნობებს, რომ მორში საშინლად გე- რცელებულა წითელა. ძვირად იზო- ვით სახლს, რომ ორი სამი ავთმყო- ფი ამ სნეულობით არ იწვესო. სხვა მართლის სოფლებშიაც გახშირებუ- ლია, მაგრამ ენება არა მოაქვს დიდი, ადვილად ხდილობენო. შითო ორო- ლას მოუკლა მორში ბავში და სა- სულიერო სასწავლებელში ოთხი თუ ხუთი გადიცვალა, ისიც მოუვლე- ლობით და დაუდევარი სახლის პატ- რონების წყალობითაო.

□ იმერეთის ერთი სოფლიდან შემდეგ ახირებულ ამბავს გვწერენ:

ამას წინათ ერთსოფლის შკოლაში იქაური მღვდელი შესულა. მასწავ- ლებელი იმდროს ქარის მოვლენას უხსნიდა თურმე ყმაწვილებს. მღვ- დელმა უყურა მასწავლებელს და ბოლოს, როცა ნახა, რომ ამ მოე- ლენას მხოლოდ ბუნებითი კანონე- ბით ხსნიდა, გამოვიდა გარეთ, დაიწ- ყო ყვირილი, რომ მასწავლებელი ყმაწვილებს რყენისო, უღმრთობას უქადაგებსო და სხვა. ამნაირად მღვ- დელს მთელი სოფელი ფეხზე დაუ- ყენებია და ახლა, როგორც კორ- რესპონდენტი გვწერს, ეს საქმე უშალღეს სასულიერო მთავრობამ- დინ მიღწევსო...

□ მეორე ახირებულს და ამასთა- ნავე საძაგელ ამბავს იმერეთის მეო- რე სოფლიდან გვატყობინებენ:

შრიებს ქარწილი ჰქონიათ. მახშ- მად, რასაკვირველია, მხოლოდ თავ- ვის რჯულის კაცები ჰყოლიათ მი- პატივებული. ამ სოფლის პოლიციის ერთს მოხელეს, მასწავლებელსა და ფერშალს თითქო შემურებიათ, რომ ისინი არ დაუბატივნათ, ამდგარან როდესაც პრუსიის ჯარებმა თავის გაზომილი, მხედრული ნაბიჯით გა- ბილწეს პარიჟის ქუჩებში და შლისეს ბულვარზე შემოვიდნენ, მე ქუჩიდან დაეინახე, რომ ავთმყოფის ბალკო- ნის კარი ნელ-ნელა გაიღო და გა- მოჩნდა პოლკოვნიკი თავის სამხედ- რო ტანისამოსში, თავის კასკით და ხრმლით... „სახეზედ რალაც არა ჩვეულებრივი გაკვირება შევამჩნიე. სჩანს, ვერ წარმოედგინა — თუ რისგან დაედო პა- რიჟს ეს თითქო კუბო! შეხედულო- ბა, რისგან არის გულ-მოსაკლავი სი- ჩუმე, რისგან არის, რომ ქუჩებში კაცი არა სჩანს და ყველა ფანჯრები დახურული და ფარდა-ჩამოშვებუ- ლია. „სოტა ხანს გაქვევებულივით იდგა ერთს ალაგას ბალკონზე. „მერე ტრიუმფის არკისაკენ გაი- ხედა; აქედამ თეთრი მუნღირებით

და შუალამეზე ამ ურის სახლს მისდ- გომიან. შუმცა ურებს სწყენიათ სხვა სარწმუნოების კაცების შემორევა, მაგრამ მაინც მოუბატივნათ და იმათ- თვის ცალკე მოუბანივითა ეახშამი დუქნიდამ. ამითარ დაკმაყოფილებუ- ლან: თვითონ ებრაელების ეახშამი მოუბხოვიათ. ამათ რჯულის კანო- ნი ნებას არ აძლევს თურმე, რომ თავიანთი საქმელი სხვა რჯულის კაცს აქამონ; მაგრამ ესენი დაპირე- ბიან, რომ ჩვენ ებრაელ სარწმუ- ნობას მივიღებთო. ამნაირად, ეს მიუწვეველი სტუმრები დამხდარან, გამომთვრალან და ბოლოს სიცილ- ხარხარით გამოსულან ებრაელის სახ- ლიდან...

„დროისა“ კორრესპონდენსია — ქალაქი N, 1 მარტი

ქალაქის დებუტატების აღმორჩევა დებუტატების აღმორჩევა წარსულ ინფარს იყო მორში. არ იქნება უ- საფუძვლო და უადგილო, რომ ორი- ოდეს სიტყვა ითქვას დებუტატების მოქმედებაზედ, მათს ქალაქის გამ- გეობაზედ, და უფრო უწინდელ დე- პუტატებზედ.

დადგება თუ არა დებუტატების, ანუ ქალაქის მოთავეების აღმორჩე- ვის დრო, შეიქნება ერთი მოძრაო- ბა, გძრომ-გამოდძრომა, ყვირილი — თუ ვინ აირჩიონ ახალ დებუტატად. ძველები აღარ უნდათ, რადგან იმათ რამდენიმე ხნის განმავლობაში თა- ვიანთ დებუტატობისა საკმარად გაი- ტენეს ჯიბეები და გულზედ ქონი მოიცხეს.

საზოგადოება იყობა ორ პარტიად: პარტიად მდიდართა, რომელსაც შეადგენენ ეჭურები, და პარტიად ხელოსანთა — ღარიბთა, რომელთაც ეინა ჰკითხავს ამორჩევაზედ სიტყვას. მხოლოდ განგებ ატყობინებენ და დუქნებს აკეტივებენ ამათ. ამ მაღალ ბუზრის-ქუდიან ხელოსნებს ვინ აკად- რებს კენჭის ყრამი მონაწილეობის მიღებას, მხოლოდ ქეთხულობა ხე-

ლების შლით, მუცელ გადმობერილი, ყიყე ჩამოშვებული, მთხრანს სხეზედ ყელში გასხვრივთა, წაქუჩავენ ქა- ლაქზედ. მს ირჩევს მოთავეებს.)

აი, მოვიდა კენჭის ყრის დრო. დაუწყებთ გული ფეთქას. შეიქნება ჩოჩქოლი. მართანეთში ჩურჩულია, თუ ვინ სჯობიან აირჩიონ. მართის სიტყ- ვით, ყური რომ დაუგდოთ ამ დროს საზოგადოებას, უნებლიეთ გაგეცი- ნებ: თუ რაზედ იმღვრევენ სისხლს და მოგაგონდებათ აკაკის პოეტური სიტყვები:

„დალიეს, შეჭორიდან, იწყეს აყალ-მაყალი! „სვირჩიით, ჰყვიროდნენ, სჯობს ყენი ახალი.“

ძველი ყენი — დებუტატი რად არ უნდათ? რატომ აღარ ირჩევენ იმას- ვე, ანუ რად სტაცეს ხელი და ლაფ- ში გადაუძახეს? ბანა ძველი პატიო- სანი, სინიღისიანი, ქალაქისთენი დი- დი მარგი არ იყო?

ძველი დებუტატას გამმგეობა მდა- ბალმა ხალხმა ვერ დასცადა; ის ამას ცუცნიდა; ორი-სამი მანეთის აღ- გილს ხუთს-ექვს ართმედა; ამიტომ, ესთმდათ, არ უნდა ამ მდაბალ ხალხს წინანდელი საყადოდ. მაგრამ მაგარი ეს არის, რომ მდიდარი-ქეთხუდები ამიტომ არა სცელიან, ესენი შემდე- გის აზრით ხელთ - მძღვანელობენ: სულ რომ ერთმა არ იტენოს ჯიბე, სულ ერთი რომ ყველის ქუდასავით ქალაქის ფულით არ იტენებოდეს, ახლა სხვამ ისარგებლოს. შუმცა ეგვეც ჩვენია, ჩვენი სისხლი და ხორ- ცივეა, მაგრამ მუქთად რომ ფული მამდიოდეს, რად დავიწუნებ. შიფ- ლიან თითს ვინ ოხერი არ გაილო- კავს. მარტო, ამ ნაირ შემთხვევებში ამათ დევიზად ხდება: ერთმა ე- თის გასუქება.

დავამტკიცებ ამას ფაქტებით: იყო რამდენიმე წელიწადი უფ. N დებუტატად. მოგვეცათ ღეთის წყა- ლობა, რომ ამან გული ისრულა ქალაქის ფულების ხვეტით. შსამარ- თლოდ ხელოსნების ფცქენა, ამათ- გან და სხვებისაგანაც ქრთამების

შემოსილი, გერმანიის ბაირალებით ხელში და შუბერტის ჰიმნის დაკრით პრუსიის სალდათები შემოდირდნენ პარიჟში...

„შითქო მთელი ქალაქი მკედა- რიაო; ამ შემომავალი ჯარის მეტს თითქმის ერთს სულს ვერ ხედავდით პარიჟის ქუჩებში.

„ამ დროს უეცრად ერთი საში- ნელი ხმა გამოისმა:

— პრუსიელები!... იარაღს ხელი მოჰკიდეთ!... იარაღს ხელი!... არ შემოაუშვათ!...

„და როდესაც პრუსიის მოწინავე სალდათებმა ზევით შეიხედეს, ამ ხმის გაგონებაზე, ჩახეს, რომ ბალკონზე ერთი მოხუცებული პოლკოვნიკი წაბარბაცდა და მოსხლეთით დაე- ცა...

„ახლა კისულ მოკვდა პოლკოვ- ნიკი შუვი“.

ლება (ფულითაც და ინდოურ-ქათ-
მებითაც) სისხლ-ხორცად [ქქონდა
თურმე ნაქცევი ხსენებულს N-ს,
ისეთ წარად ჰყვანდა ხელოსა-
ნი ხალხი დამორჩილებული თავის
დესპოტური მოქმედებით, რომ მის
წინ თურმე კანკალდნენ და, აბა,
რასაკვირველია, რომ რაც უნდოდა,
იმას უზავდა იმათ. ამითი იქცევა
თურმე თავს: „ათუ ქრთამს ვაღებ,
საქმესაც ვაკეთებ.“

მ ლაქს ჩრდილოეთის მხრე უძვეს
ქალა და მინდორი; ეს ადგილი ეკუთ-
ვნის საზოგადოდ ქალაქს. ამას წაე-
დავა ერთი აქ მცხოვრები. ხსენე-
ბული დეპუტატი დიდს იმედს აძ-
ლევდა ხალხს: ფიქრი არ არის, გა-
მოვიტანთო. მაგრამ ამოუდეს თავივე
თავის გასაჩუქებელი და წაღმა მასია-
რულეგელი ჩარხი უკუღმა დაუტ-
რიალდათ ქალაქის მცხოვრებლებს:
ნახევარი ქალისა გაითრიეს. მსრეთის
ცარცვა-გლეჯით შეჭმა საზოგადოე-
ბის ფული ხ უ თ ა ს თ უ მ ა ნ ზ ე დ
მ ე ტ ი.

შერჩა ამას? რაღა კითხვა უნდა,
რომ შერჩა და შეერგო ისე, რო-
გორც ბავშვს თავის დედის რძე.

ქალაქელებს სასაცილოთარა ჰყოფ-
ნით, უკვირთ: რა ჰქნა, რამოდენი
ფული შეინარჩუნა! ნაცელად წყლუ-
ლის მოშორებისა, ესენი იცინიან, იკ-
რიჭებიან... ღიახ, იკრიჭებიან ცხოვრე-
ბისაგით..

რადგანაც მომეტებულ ნაწილს აქა-
ური საზოგადოების წევრთ „თვალში
აქეთ კკუა“ და არა თავის ადგილ,
ამიტომ ამგვარი კაცი ყოვლად სი-
ნიდისიანი, პატიოსანი და დიდი კა-
ცია?!. ჰმ!.. პატიოსანი, სენიდისიანი?!
მხერად გამხდარან ეს კაცის დამამ-
შვენებელნი ღირსებანი ამათ ხელში.

ზადმოზრძანდა „ალია“ დეპუტა-
ტობის ასპარეზიდან. ღადგა ამის
ფერი უფ. „მამალა“.

ხალხის ყურადღება ამაზედ იყო
თურმე მიქცეული, რომ ეს კარგი
კაცია, სინიდისიანი და სხ. მინ რას
მოიფიქრებდა თუ ესეც არ ჩამოურ-
ჩებოდა უწინდელს უმაკოდ თვითო
ლებტის აწაპნაში. შერო იმითომ
ეგონათ, რომ ეს ხალხის ინტერესე-
ბის დამცველი იქნებოდა, რომ არ
არის განათლებას მოკლებული.
მდესმე ყოფილა აღმზდელად ნო-
რჩითა ყვაფილთ—პატარა ბავშვებისა,
და რას მოიგონებდნენ, რომ ესეც
„ვანიერი გზისკენ“ შეუხვევდა.

ამ წლის იანვარში კენჭის ყრის
დროს ეს ქალაქის ბატონი გააშაფეს.
აღმორჩევა ერგო ამათსავე პარ-
ტიელს. ამბობენ, ძრიელ სენიდი-
სიანი არისო. მაგრამ ჯერ ვერ ვიტყ-
ვით ვერც ცუდს და ვერც კარგს
იმის მოქმედებაზედ, როგორც ახ-
ლად გამოსულზედ. მაგრამ კიდევ
ვიტყვი ჩვენ პოეტისავე სიტყვებით:

მე ყენები ყველა
მითმანეთის დარია:
ალია და მამალა—
მრივე თათარია!...
მეორე დეპუტატად ავრ რანდე-

ნიმე ხანია, არის უფ. ზ — ი,
კაცი ღირსი ქებისა, მიუღლომელი და
ნამდვილად სენიდისიანი. მეთხულებ-
თაგანნი გაიძახოდნენ მისს გამოცე-
ლას, მაგრამ ვერ ჰპოვეს იმაში ხნ-
ჯი, ვერაინ ვაბედა ქვის სროლა
იმაზედ, და რადგან ის სხეებისაგით
პირადი სარგებლობისთენ არ ცდი-
ლობს და, იმედია, არც ეცდება,
არამედ მთელი მი ი მოქმედება არის
შეწირული საზოგადოების კეთილ-
დღეობისათვის, ამიტომ, რასაკვირვე-
ლია, იფიქრებდნენ იგინი: დაე, დარ-
ჩეს, ჩვენმიერ შესაშურს არას ჰსჩა-
დის (ე. ი. ქრთამს არ იღებს).. მაგ-
რამ ამ ერთმა კაცმა რა ჰქნას, რო-
დესაც ამხანაგები სხვა მიზანს სდე-
ვნიან.

პარტი იქნება, ვგონებ, რომ სა-
ზოგადოება ერთ დეპუტატთაგანს
ხელოსნებიდან ირჩევდეს, რადგან
ამას უფრო კარგად ეცოდინება თა-
ვის პარტიის საჭიროება, სიმდიდრე
და ს-ღარიბე მისი და სხ. მოიპო-
ვებიან ამათშიაც (მგონი, უფრო
ამათში) საქმის მცოდნე კაცები. მაგ-
რამ, საუბედუროთ მათდა, ჩიხა და
მაღალი ქული უშლის. როგორ ეკა-
დრება ქეთხულობას ამნაირად ჩაც-
მული დეპუტატად დაისვას, ხომ სირ-
ცხელი და თავის მოჭრა იქნება მთე-
ლი ქალაქისთენ!.

ს. ზაქარიძე

უცხო ქვეყნები

საზრანგეთი. დღევანდელი დღე, 25
თებერვალი, შესანიშნავი დღეა სა-
ფრანგეთისათვის. დღეს მიეცა მას შე-
ურყვევლი მმართველობა! დღეს აქ
ყველა პატიოსანი მამულის შვილი
ხარობს! დღეს, შემდეგ ოთხის წლისა,
დაწესდა საფუძვლიანათ საფრანგეთ-
ში რესპუბლიკა!

როგორ არ გაახარებს ფრანკულს
ისეთი მმართველობის დაფუძნება,
რომელმაც აწინდელ საფრანგეთში
უნდა დაამყაროს, როგორც უკეთე-
სი იმისი შვილები ფიქრობენ,
შეურყვევლი სახელმწიფო წესი და
გააგრძელოს ხალხში კეთილ-დღე-
ობა.

მს მეორე რესპუბლიკაა რიცხვ-თ
მეოთხეში...

დღეს პერსიის ნაციონალურ პრე-
ზამ მარტო რესპუბლიკა კი არ დაარ-
სა, იმან მასთან სასიკვდილო ოში გა-
ნუცხადა ბონაპარტისტებს და საუ-
კუნო დავიწყებაში მისცა საფრანგე-
თის მღვთიური და კონსტიტუციო-
ნალური მონარხია. შანა მოელოდა
ინმე ამ პრებისაგან ამ ნაირ გარდაწ-
ყვეტილებას! სიზმარშიაც არაინ მოე-
ლოდა ამას, შემდეგ ოთხის წლის პარ-
ტიერის ბრძოლისა, შემდეგ ტიერის
გადგმისა და მაკ მაჰონის პრეზიდენ-
ტობის დროს!

რომ ცოტადნათ გასაგები იყოს
ყველასთვის ასე კეთილად გათავება
ამ ქვეყნის ბედის და უბედურობისა,
საჭიროდ ეპოვებ მოკლედ აესწირო
უკანასკნელი სამ-ოთხი წლის ნაციო-

ნალური პრების ისტორია, რადგანც
ამ კრების გადაწყვეტილობაზეა და-
მოკიდებული ამ ქამად საფრანგეთის
კეთილ-დღეობა.

შველას კარგათ გვახსოვს, რომ
ტიერის დათხოვნა პრეზიდენტობიდან
(საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზი-
დენტობიდან) ის მიზეზი იყო, რომ
ამ პარტიოტმა, ამ ძველმა მონარ-
ხისტმა მოინდომა სამუდამოდ რესპუ-
ბლიკის დამკვიდრება, რადგანც ეს
იყო დროების მოთხოვნილება და
ხალხის სურვილი, რადგანც ვრ-
თილა ეს იყო საშუალება საფრანგე-
თის ამ-ღლებისა და კეთილ-დღეობისა.
ტიერმა კარგად იცოდა დროების
მოთხოვნილება და ძალა-უნებურათ
უნდა დამორჩილებოდა მიუცილე-
ბელ მოთხოვნილებას. ამის განსჯა-
ში როდი შევიდნენ მონარხისტები;
იმათ მინც და მინც თავისი სურ-
ვილის აღსრულება მოინდომეს,—
უნდოდთ და უნდათ ეხლოც მონარ-
ხია, მეფე, ძველი წყობილობა. ტიერს
ჰკრეს ფეხი და კარში გააგდეს.

აი, ეს არი, ორიოდ სიტყვით,
ოთხი უკანასკნელი წლის ნახევარი
ისტორია (პარლამენტის ისტორია).

ტიერის შემდეგ, 1873 წ. 24 მაისს,
დანიშნა პრეზიდენტობა მარ-
შალი მაკ-მაჰონი, სედანის გმირი,
სუსტი მხედარი, კიდევ უფრო სუსტი
პოლიტიკოსი.

რა ჰქონდათ სახეში მონარხილებს
ამ ნაირი კაცის ამორჩევით? ი ინი
ღარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამას
დაითანხმებდნენ და მისის შემწეობით
მამალს გერცოგი გახდებოდა მის
მემკვიდრეთ პრეზიდენტობაში და შემ-
დეგ მას არ გაუჭირდებოდა სამეფო
ტახტის შოვნაც. აი, ეს იყო მონარ-
ხილების მიზანი.

მხლა ენახათ, ბონაპარტისტები
რა ჰაზრზე ადგანან.

ისინი მაკ-მაჰონს ჰსთელიდნენ ბო-
ნაპარტისტად და თავის მხრით აგრე-
თე ღარწმუნებულნი იყვნენ, რომ
ეს სედანის მამაცი მხედარი ერთს
მშვენიერს საღამოს მოახდენდა სა-
ხელმწიფო ცვლილებას (Coup d'Etat)
ნაპოლეონი მესამის შვილის სასარ-
გებლოთ და ჩააბარებდა მას იმპერა-
ტორის ტახტს.

მს შეადგენს მეორე ნაწილს ოთ-
ხის წლის ისტორიისას.

როგორც ფაქტებმა გვიჩვენა, მო-
ნარხილების და ბონაპარტიელების
მოლოდინს და იმედებს ბოლო მოე-
ლო. მე არ შევიდვირ იმის განსჯაში,
თუ რა მიზეზი იყო, რომ მათ თავთა-
ვიანთი სურვილი ვერ აღსრულეს
და მაკ-მაჰონს ჰქონდა თუ არა სურ-
ვილი მათი დახმარებისა. მხოლოდ
მინდა ვაცნობო მკითხველს, როგორ
მოხდა რესპუბლიკის დაარსება იმ
პრებისაგან, რომლის უმრავლესობას
მონარხილები შეადგენენ *).

*) აი, დაახლოებითი რიცხვი დეპუტა-
ტებისა და პარტიებისა: 720 დეპუტატი შე-
ადგენს პრებს; მათ რიცხვი 330 რესპუ-
ბლიკელია, 32 ბონაპარტისტი და დანარ-
ჩენი 358 სხვა და სხვა ფერის მონარხის-
ტები.

ადვილათ დასანახავია, თუ რა
მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ
რესპუბლიკელები; მაგრამ მონარხი-
მინც არ ჰკარგავდნენ და დაუღლა-
ვით მუშაობდნენ რესპუბლიკის დაარ-
სებისათვის. პარგად ხედავდნენ, რა
ალიაქოთში და ტოლახში იყვნენ გა-
რეულნი და ესეც ესთქვა, რომ ამ
პრებიდან საზოგადოდ კარგს არაფერს
მოელოდნენ, არამც თუ რესპუბლი-
კას; ამითვის სცდილობდნენ, რომ
ეს მონარხიული პრება დაშლილიყო
და ხალხს ამოერჩია ხელახლად დე-
პუტატები, რადგანც ღარწმუნებულ-
ნი იყვნენ, რომ ახალი კრების უმ-
რავლესობა რესპუბლიკელებიდან იქ-
ნებოდნენ შემდგარი. მს მათი ოინი
მონარხისტებს კარგათ ესმოდათ და
ამითვის ყოველივე მოთხოვნილება
პრების დაშლის თაობაზედ უარ ჰყვეს.

შემდეგ ამისა რესპუბლიკელებს
დარჩათ ერთი უკანასკნელი საშუა-
ლება: უნდა ეშოვნათ წინააღმდეგ
პარტიაში, ანუ უკეთ ესთქვათ, მოეს-
ყიდნათ ორმოც და ათამდის მონარ-
ხისტები და მათის შემწეობით დაე-
არსებინათ რესპუბლიკა. ამ უკანას-
კნელმა შეცადინებობამ მოიტანა კე-
თილი ნაყოფი; იშოვეს არა თუ ორ-
მოც-და-ათი, არამედ დღეს უმრავლე-
სობა ას სამოც-და-ათი ხმისა. ამ
ნაირად პრებამ დაამტკიცა რესპუბ-
ლიკის კონსტიტუციის კანონები.

მიქონიოთ იმედი, რომ დრო, ქა-
მი, ახალი კაცები ნაკლულევენებას
გაასწორებენ, შევსცვლიან, თუ საჭი-
როება მოითხოვს, მთლათ კონსტი-
ტუციას და დაარსდება მტკიცე და
შეურყვევლი რესპუბლიკა...

— თფილისში მოსული მერსალის
ტელეგრაფიდან ეტყობულობთ, რომ
ახალი სამინისტრო შემდგარა: ბაჰ-
უჭყე დანიშნულია შინაგანი საქმე-
ების მინისტრად, ლუჭორი—იუსტი-
ციის, სისე—სახმედრო, მონტანიაკ
—ზღვის, ლეონ სე—ფინანსის, მო-
ვაჭრობის, მალლონ—სახალხო გა-
ნათლების, ძალიუ—საზოგადო მუ-
შაობისა.

ნარკვი

რამდენათ თაყვანსა სცემენ და როგორ
კაცდები ჩნით თავიანთ თანამე მუღუებს მა-
რიბალდი—შემდეგი მაგალითიდან შეიტყობთ,
რომელიც ერთს ფრანკულულს გაზეთშია მო-
ყვანილი:

იტალიელი ქალი, სანამ დასაძინებელად
გაუშვებს თავის შვილებს, ჯერ ჩვეულებრივ
ლოცვას ათქმევენებს ზეპირად და მერე
ყოველთვის შემდეგ კატეხიზოს გაამო-
რებინებს:

- რამდენია ჯუზუპე ბარიბალდი? პითხავს დედა.
- ჯუზუპე ბარიბალდი ერთად-ერთია. მიუღებს შვილი.
- სად არის ჯუზუპე ბარიბალდი?
- შევლა სამშობლოს მოყვარე იტა-
ლიელის გულში.
- რამდენი სახეა ჯუზუპე ბარიბალდში?
- სამი: ის არის მამა ჩვენი ქვეყნისა,
ძე მხნეობისა და სული თავისუფლებისა.

* *

საფრანგეთის გამორჩეულ მწერალ ქალს შარლ შანდს გამოუტყდა ახალი წიგნი, სახელად „სტოლის გარემო“, რომელშიაც, როგორც ერთი ფრანკული გამოცემა ცნობებს, ჩვეულებრივად ხელოვნებით აწერილი თურმე ამ წიგნი საუკუნის შესანიშნავი კაცების ცხოვრება: მაგალითად, ბალზაკის, ბიოტის, ბერანსის, ბირონის, მიცევიჩის, ბიერ სტოუს და სხვ.

სამი წელიწადია მას აქვთ, რაც იპარონის იმპერატორმა (მიკ ღემ) ერთი ახალგაზდა პარიული ადვოკატი შარლ ბუსევი მიიწვია თავის სახელმწიფოში, რომ იქაც ისეთი კანონები შემოელო და სასამართლოები დაეწესებინა, როგორც საფრანგეთში. ამ ახალგაზდა ფრანკუსს ისე კაგათ მიჰყავს თურმე იპარონში სასამართლოების რეფორმების საქმე, რომ მიკადამ სთხოვა, სამუდამო იპარონში დარჩიო.

ამას წინათ შარონი ერთი მდიდარი კაცი ნიქევი გარდაიცვალა. რომელმაც ამ ქალაქის გამგეობას 230,000 მანეთი უანდერბა იმ პირობით, რომ რაც ამ ფულიდამ სარგებელი შემოვიდეს, ჩვენი გუბერნიის ღარიბი ქალაქის მზითვათ მოიხმარეთ.

ნაპოლეონის ვაჟმა, როგორც იყო, გაათავა სწავლა შტუტგინის არტილერიის სასწავლებელში და არტილერიის ავიაციის ეგზემენი დაიჭრა — ისიც მეშვიდედ, უნდა ნახოთ — რა ვახარებული არიან საფრანგეთის ბონაპარტისტები! რუფრა წიგნი დაბეჭდა, რომელშიაც აღვადგინებ, რომ ეხლა იმპერატორის პრინცი სრულიად მზათ არის საფრანგეთის ტახტზე აბრძანდეს; მშვენიერი ნიქე და ცაღნა გამოიჩინა სამხედრო მცნებებში.

მსთქვათ, ეს მართალი იყო, ამბობს ამის თაობაზე ერთი ფრანკული გამოცემა, მაგრამ 33 მილიონი ხალხის გამგებლისათვის განამარტო არტილერიის ცაღნა საკმა არის!?

მუ როგორი ახრებული წიგნები მოგვდის ჩვენ ხანდაზნან, ამის მიწეშათ ერთს წიგნს ვაბეჭდეთ, რომელიც კორრესპონდენციასთან ერთი შემთხვევითი თანამშრომლისაგან მივიღეთ.

შუ „დროების“ რედაქტორი! ამის დაბეჭდას ნუ დაიხარებ, მითი უზომოდ მე დამაყლებ! მუ რომ გნებავდეს და შენ მიბრძანებ, მქვევს მწერლობაში დროს გავტარებ! შთუთ ამით, შენ არ წააგებ; მუ ნება მომცემ, კალამს ავიღებ, ჩემს რკინის კალამს, რუჩკას დაევაგებ, ჰქვის კოლოფს მოვხსნი, დიდ პირს დაევაგებ!

მე-18 ბირაჟი

მეორე შინაგანი სესხის მოგებისა, რომელიც მოხდა ს. პეტერბურგის 1 მარტს:

№ სეროისა	№ ბილევისა	ჯამი მოგებისა
16,670. 12	200,000	
15,762. 26	75,000	
5,648. 48	40,000	
11,943. 47	25,000	

6,267. 12		
13,400. 6	10,000	
7,761. 36		

2,088. 49		
9,719. 38		
4,088. 20	8,000	
3,594. 10		
14,674. 7		

4,225. 10		
15,736. 35		
13,157. 19		
3,925. 6	5,000	
17,662. 41		
19,150. 23		
15,856. 13		
8,505. 50		
10,197. 49		
11,707. 13		
3,651. 29		
19,036. 37		
6,151. 36		
18,493. 49		
11,310. 43		
17,971. 35		
3,744. 49		
10,041. 12	1,000	
9,039. 23		
397. 16		
6,248. 30		
11,403. 2		
12,740. 40		
11,269. 34		
17,150. 7		
9,924. 10		
16,781. 31		
16,340. 36		

„დროების“ ფოტია

— **ბ. კ — ს, ა — ს.** მქვევს მიხვდებით რა მიზეზით არ დაიბეჭდა ბოლო თქვენგან გამოგზავნილის შენიშვნისა. რასაც გეკითხვდით, ვიკითხეთ და გვიხმარეს ამ დიდ მარჯვში არ შეიძლება.

— **ა. ი — ს, ა — ს.** მსაკვირვებელია, რათ დგაკლდათ თქვენ № № პირველი ფოტიათ მიიღეთ.

— **ქ. რ — ს, ბ — ს.** შარონადელი „ტრეზოლის“ ფული „დროების“ ფასში შეგიძლიან ჩარიცხოთ.

— **მ. ნ — ს, ვ — ს.** მუშაც ეს დიდი ხანია გამოცხადებულია და ყველამ იცის, მაგრამ რადგან თხოვლობთ, გაცნობებთ, რომ 1871 წლიდამ „დროებაში“ ლექსები აღარ იბეჭდებ.

— **მ. რ — ს, ს — ს.** შევევლია, ახლა ყველა ნომრები მიღებული გექნებათ.

განცხადებანი

გასყიდვა

ახლად გამა-თული ვენეზიული მალაზია საახლის ქუჩაზე, ზუბალოვის სახლებში, ჩარახჩიანცის მალაზიის გვერდით. მალაზია არის გახსნილი მოკლე ხნით მალაზიაში იპოვება ყოველგვარი საცმალე კაცისა, ქალისა და აგრეთვე ყმაწვილებისათვის; ჰოლოდის, ბელგის, საქონის, ბოჭვილისა და რუსეთის ტილო, ტილოს და ბატისტის ცხვირ-სახოცები, იუბკები, პენუარები, პარსახოცები, საღვთებები და სტოლის საცვალი 6, 12, 18 და 24 პირისათვის.

ამას გარდა, წინდები და სხვა საქონელი, რომელიც პრის-კურანტშია მოხსენებული.

რადგანაც განზრახვა მაქვს, რომ მალე სამზღარ გართ უნდა წავიდე, ამის გამო მალაზია მხოლოდ მოკლე ხანს იქნება და ამის გამო იმედი მაქვს, რომ აქაური პატრეცემული საზოგადოება ისარგებლებს ამ შემთხვევით და უყურადღებოდ არ დააგდებს ჩემს მალაზიას.

პირველი წიგნი

წერა-კითხვის

სასწავლებლად შედგენილი სურათებით ამერიკულ მეთოდზე სასოფლო შკოლებისათვის. ისარლის მიწისაგან ისყიდება შახ.ზიზოვის წიგნის მალაზიაში პრიკაზის გვერდით (ფასი სამი შაური)

პუკიაში, მალაზიის სოფლებში, მალაზიის მშვენიერების გვერდით, ჩრდილოეთით, ისყიდება 750 სამენი მიწა. დაწერილებით პირობების შეტყობა; ვისაც ამ ადგილის ყიდვა ჰურს, შეგებონეს ცოლ-თან შეიძლება, მოდოვზნის ქუჩაზე, სივაზოვის სახლებში.

პუკიის ხიდზედ მართანოვის მალაზიაში ისყიდება ქართული სამხარეულ წიგნი მადგენლი ბარ. ჯორჯაძისაგან. მითო წიგნის ფასი მანათი.

შესანიშნავი იაზოზა

ზალაინის პროსპექტზე, პოდპოლკოვნიკის საფარივის სახლებში, „ამერიკის“ სასტუმროს გვერდით.

არა ჩვეულებრივმა ვაჭრობის სიძაბუნემ და ფულის კრიზისმა მიძულა მე

მოკლეს ხნით მოვსულოყავ ქ. მფილისში ახალის და ნაირ-ნაირის საქონელით. მაქვს უომელებადი თეთრული, ტილოს საჰოდელი.

რადგანაც მსურს, რომ ჩემი საქონელი რაც შეიძლება მსწრაფლად გაყვიდოს, ამის გამო გადაწყვიტე, რომ ყველა საქონლის ფასზე 25% დაუკლო და ამ ნაირად კონკურენცია ავიცალო ჩემს მალაზიას, რომელიც სხვა მალაზაებზე უფრო იაფად გაყვიდს.

შემორჩილესად ესთხოვ პატივცემულ საზოგადოებას მიაკციოს ყუ რადღება პრის-კურანტს, რომელიც ჩემს შემოხსენებულს მალაზიაში იპოვება.

აქვე ისყიდება ყოველგვარი სამხითეთ თეთრული. ოდისის ვაჭარი მ. ჩრიზ.

რკ. ზნა.	დილა.	სალა.	II კ.	III კ.	სეცხლის გემები	ფოზტა	ბირაჟა	მან. კაპ.	მან. კაპ.	
მფილისი	8 18	8 17			ა) ფოთილადამ:	ა) მფილისი ღამე:	პეტერბურგი, 28 თებერვ.		მფილისი, 4 მარტს.	
მცხეთა	9 18	10 —	68	38	მდესისკენ — ხუთშაბ. საღ. 6 სათ.	სამზღარ გართ, მუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:		პური შორაგალის ფთ. 1 20	
ზორი	11 39	1 43	2 40	1 23	სტამბოლს — კვირაობით დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., მზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაგ. და შ.ბ. ქაბეთს — სამშ. და შაბ.	ლონდონში 3 1/2 პენსი.		ქერი ფუთი — 60	
სურამი	1 52	4 30	3 92	2 18	ბ) სობუსმიადამ:	შ.ბ. ქაბეთს — სამშ. და შაბ.	პარიფში 3 50 1/2 სანტიმი.		ბამბა მრევენისა, ფუთი 4 80	
ბეჟათუბანი	3 45		4 42	2 46	შოთს — ოთხშაბათს, ღამით.	მდეს — პარასკევს, გათენებისას	მსკონტი(სარგებლისფასი)		— ამერიკისა, ფუთი 6 65	
ქვირილა	6 49		5 81	3 23	ფოთილადამ: I II III		ბანკის ბილევი 5%		ბაპენტილი ბამბა ფთ. 8 —	
მუთაისი	7 55		6 75	3 75	სობუსმიადი . 4 „ 3 „ 1 „		მოგებიანი(პირველისესხი)		მატყული თუშური ფთ 6 10	
სამტრედია	9 — 2		7 73	4 29	ქვირამდი . 20 50 15 50 5 „		მოგებიანი (მეორე სესხი)		— მარაქამისა ფთ. 3 80	
აბ.-სენაკი	10 —		8 57	4 76	ტაგანროგ. 34 „ 27 „ 8 60		ბ-როს ფურცლები:		აბრეშუმში ნუხური გრ. 2 60	
ფოთი	11 —		9 75	5 42	მდესამდი. 38 „ 30 „ 9 60		მფილ. სააზნ. ბანკისა.		ქონი, ფუთი 4 40	
					ტელემგრაფი					
ფოთი	7 38				მცი სიტყვა მფილისილადამ:	გ) ბორილადამ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)		ქონის სანთელი ფუთი 5 60	
აბ.-სენაკი	9 11		1 18	- 66	მუთაისს, შოთს 1 —	შოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.	მოსკოვის (5%) 8 50		სტეარინის სანთელი, ფ. 10 45	
სამტრედია	10 12		2 61	1 14	მუთაისს, შოთს 50				ხორცი ძროხისა, ლიტ. — 90	
მუთაისი	11 17		3 41	1 69	ზორს, დუშეთს, სიღნახს	დ) ფოთილადამ:	აქციები:		— ცხვისა, ლიტრა 1 —	
ქვირილნ	12 38		3 98	2 21	ბოტოს, დუშეთს, სიღნახს	შოველგან — ყოველ დღე, კვირას გარდა.	მდესის სავაჭრო ბანკის.		— სპირტი, ვედრო 7 —	
ბეჟათუბანი	3 27	ლაზე	5 33	2 96	როსტოფს მდესას მოსკოვს		შოთი-მფილ რკინ. გზის		შაქარი, კარგი ფუთი 8 50	
სურამი	4 57	12 30	5 84	3 24	პეტერბურგს, მარაშავს 2 —		შავიზღვის ცეცხ. გემების		— ფხენილი ფუთი 6 90	
ზორი	7 23	3 31	7 36	4 9	მოსკოვში, შევიცარიაში		ქავკაზის და მერკურის 1 68		— მავ გრგადი ფუთი 19 70	
მცხეთა	9 52		9 85	4 —	იტალიაში და საფრანგეთში		პირვ. საზღვევ. საზოგ.		ზეთი ქუწკუთისა ფთ. 7 50	
მფილისი	10 49	8 29	7 75	5 42	ინგლისში 3 75		დაპეტლილის (სამი მისხალი) . 10		მჭორო 1/2 იმპერიალი 5 90	